ნანო-ნაწილაკების სინთეზი და დახასიათება რადიოთერაპიისთვის

ნიკოლოზ ჭიკაძე

ელ-ფოსტა: nikoloz.chikadze399@ens.tsu.edu.ge

ფიზიკის დეპარტამენტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნიერსიტეტი,

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ამ ნაშრომში წარმოდგენილია რადიოთერაპიისთვის განკუთვნილი პლატინიუის ნანო-ნაწილაკების სინთეზის, დახასიათებისა და გამოცდის სრული ციკლი. აღწერილია გამოყენებული სინთეზის მეთოდი, ძირითადი და მნიშვნელოვანი მახასიათებლების გაზომვის მეთოდები. წარმოდგენილია მათი შედეგები და განხილულია მათი გავლენა პლატინიუმის ნანო-ნაწილაკების ეფექტურობაზე. ასევე აღწერილია მათი ინ ვიტრო გამოცდა HeLa - საშვილოსნოს ყელის კიბოს უჯრედებზე, ამისთვის საჭირო უჯრედების მომზადება და შედეგების დათვლის მეთოდი. ბოლოს წარმოდგენილია და განხილულია მიღებული შედეგები.